საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030184166226119

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/4430 **14 / მარტი / 2019 წ.**

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი დუგლაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 12 თებერვლის N01-64/ო ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა განახორციელა შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“ სამედიცინო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების მდგომარეობისა და სარფთხეების შესწავლა/შეფასება.

როგორც შესწავლის შედეგებმა ცხადყო, ცენტრის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო სამედიცინო მომსახურების მიწოდების შეფერხების რისკის თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, რის შედეგადაც დაწესებულება დადგა ნებართვის გაუქმებისა და საქმიანობის შეფერხების რეალური საფრთხის წინაშე. ასევე, ცენტრის მენეჯმენტის არამართებული ფინანსური პოლიტიკის შედეგად ცენტრს მიმწოდებელთა მიმართ წარმოექმნა 165 615,0 ლარის ოდენობით კრედიტორული დავალიანება.

გიგზავნით „შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“ სამედიცინო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების მდგომარეობისა და სარფთხეების შესწავლის/შეფასების შესახებ“ ანგარიშს. გთხოვთ, ანგარიშში დაფიქსირებული დარღვევა-ნაკლოვანებების გათვალისწინებით, განიხილოთ შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ გენერალური დირექტორის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

დანართი: 13 ფურცელი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

თამარ გაბუნია